ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 43 12 19/10/2015

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმიდან „გამარტივებულ შესყიდვებზე“ ნებართვის გაცემის შესახებ

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის 16/10/2015 წლის #1732/11 მომართვისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის #18 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე

1. მიეცეს ნებართვა ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ამავე მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმიდან, გამარტივებულ შესყიდვებზე, კერძოდ:

- ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთაში და სოფელ ნაქალაქევში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო (მოასფალტება) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და საექსპერტო დასკვნის მომზადებისათვის- 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარზე;
  ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ საროში მესხური ფოლკლორის ფესტივალის ორგანიზებისათვის:
- საწვავის შესყიდვა-700 (შვიდასი) ლარზე;
- თხევადი აირის (პროპანის) შესყიდვა -100 (ასი) ლარზე.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გამგებელი ლ. ცაბაძე);

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. #62).

მამუკა მელიქიძე

საკრებულოს თავმჯდომარე